<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.05.001.016710) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა;

ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა;

გ) ეკონომიკურ აგენტების მიერ კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებების, შეთანხმებული ქმედების აკრძალვა და იმ კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას; ასევე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა;

დ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;

ე) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან/და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების ან/და შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობა, რომელიც იწვევს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდვას;

ვ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.“.

3. მე-3 მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ეკონომიკური აგენტი – ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას;“.

ბ) „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს:

გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) დომინანტური მდგომარეობა – შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან მათი ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის, ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით და იმავდროულად:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;“

დ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო[1]“ ქვეპუნქტი:

„ო[1]) თანამშრომლობის პროგრამა - კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შედეგად, კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის გათვალისწინებული ჯარიმისაგან ეკონომიკური აგენტის სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების სპეციალური წესი.“.

ე) „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) ჰორიზონტალური შეთანხმება – შეთანხმება წარმოების ან/და სადისტრიბუციო რგოლის ერთსა და იმავე დონეზე მოქმედ ან/და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის;“.

ვ) „ჟ“ – „ტ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) ვერტიკალური შეთანხმება - შეთანხმება სხვადასხვა შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან/და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთაგან თითოეული, შეთანხმების მიზნებისათვის, მოქმედებს წარმოებისა თუ დისტრიბუციის ჯაჭვის სხვადასხვა დონეზე და რომელიც ეხება მხარეებს შორის საქონლის ან მომსახურების შეძენის, გაყიდვის ან გადაყიდვის პირობებს.

რ) ეკონომიკის რეგულირებადი სფერო – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი სფეროები, აგრეთვე მუნიციპალური მომსახურების სფეროები, რომლებშიც თავისუფალი ფასწარმოქმნა და კონკურენცია შეზღუდულია და

რომლებიც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებად და ექვემდებარება სატარიფო რეგულირებას;

ს) სახელმწიფო დახმარება – სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ან სახელმწიფო რესურსების ეკონომიკური აგენტისთვის გადაცემის ან სხვა სახის შეღავათის მინიჭების გზით შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის მიცემა;“.

ტ) სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო – სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო ან სახელმწიფოს სახელით მოქმედი შუამავალი ეკონომიკური აგენტი, რომელიც სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნით პირდაპირ ან არაპირდაპირ იყენებს უფლებამოსილებას;“.

ზ) „უ“ და „ფ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. უფლებამოსილი ორგანო

1. ამ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო).

2. ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას ახორციელებს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამისი მარეგულირებელი ორგანო.“.

5. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. დომინანტური მდგომარეობა და მისი განსაზღვრის კრიტერიუმები

1. ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი (ასევე, მისი კონკურენტების) საბაზრო წილის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეულის წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

2. ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილს და საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს სააგენტო ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების გამოყენებით, რომლებსაც იგი ამტკიცებს შესაბამისი სამართლებრივი აქტით.“.

6. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 6. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინანტობის შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

2. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა;

ბ) წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა;“.

7. მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია, ეკონომიკურ აგენტებს შორის ან ეკონომიკურ აგენტთა ასოციაციის ფარგლებში დაიდოს ისეთი ხელშეკრულება, მიღებულ იქნეს ისეთი გადაწყვეტილება ან განხორციელდეს ისეთი შეთანხმებული ქმედება (ყველა ერთად შემდგომში – შეთანხმება), რომლის მიზანია ან რომლის შედეგია შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვა, დაუშვებლობა ან/და აკრძალვა, კერძოდ:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის ფასების ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრების, ტექნოლოგიური განვითარების ან ინვესტიციების შეზღუდვა;

გ) ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილება;

დ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

ე) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან;“.

8. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდველი შეთანხმება

1. ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არ ვრცელდება ეკონომიკურ აგენტებს შორის არსებულ შეთანხმებაზე, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) შესაბამის ბაზარზე ჰორიზონტალური შეთანხმების მხარეთა ერთობლივი წილი არ აღემატება 10 პროცენტს;

ბ) შესაბამის ბაზარზე ვერტიკალური შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი არ აღემატება 15 პროცენტს;

გ) შეთანხმება მოიცავს როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური შეთანხმების მახასიათებლებს, რის გამოც რთულია მისი ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ შეთანხმებად კლასიფიკაცია, და შესაბამის ბაზარზე ამ შეთანხმების თითოეული მხარის საბაზრო წილი 10 პროცენტს არ აღემატება;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“.

9. მე-9 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისები“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული იმ შეთანხმებების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს წარმოების ან/და მიწოდების გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს, ამასთანავე, უზრუნველყოფს მომხმარებელთა კეთილდღეობის ზრდას, თუ ისინი:

ა) შეთანხმების მონაწილე ეკონომიკურ აგენტებს არ უწესებენ შეზღუდვებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან;

ბ) ეკონომიკურ აგენტებს საშუალებას არ აძლევენ, აღკვეთონ კონკურენცია შესაბამისი ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე.“

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, განსაკუთრებული პირობები, რომლის მიხედვითაც წესდება გამონაკლისები და რომლებიც უკავშირდება შეთანხმების კონკრეტულ სახეებს, დგინდება განსაზღვრული ვადით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი ნორმატიული აქტით, რომელშიც მითითებულია აღნიშნული ვადა და ის გარემოებები, რომელთა გათვალისწინებითაც დგინდება ეს გამონაკლისები.“.

10. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვის დაუშვებლობა

სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკრძალებათ:

ა) კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის დომინანტური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.”.

11. მე-10[1] მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მარეგულირებელი ქმედების კონკურენტული ეფექტის შეფასება“.

12.მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 11. კონცენტრაცია

1. კონცენტრაცია გულისხმობს:

ა) ორი ან მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმას, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;

ბ) ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებით ან სხვა საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვებას სხვა ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი პირის მიერ (რომელიც, ამ კანონის მიზნებისათვის არ არის მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად) რომელიც უკვე აკონტროლებს სულ მცირე 1 ეკონომიკურ აგენტს;

გ) ერთობლივი საწარმოს შექმნას, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

2. კონცენტრაციის მიზნებისათვის კონტროლი გამოიხატება უფლებებით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთად ქმნის ეკონომოკურ აგენტზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, კერძოდ:

ა) ეკონომიკური აგენტის წილის ფლობა, მისი აქტივების ან/და წილის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენების უფლება;

ბ) უფლება (მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული), რომელიც იძლევა ეკონომიკური აგენტის მმართველი ორგანოების შემადგენლობაზე, ხმის უფლებაზე, გადაწყვეტილებაზე არსებითი ზემოქმედების შესაძლებლობას.

3. კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

4. კონცენტრაცია, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან/და მომსახურების ბაზარზე, დაუშვებელია.

5. თუ კონცენტრაცია იწვევს დომინინანტური მდგომარეობის წარმოქმნას ან გაძლიერებას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის საქონლის ან მომსახურების ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეკონომიკური აგენტი დაასაბუთებს საწინააღმდეგოს.

6. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისათვის, რომელთაც ეკისრებათ ამ კანონის 11[1] მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია სააგენტოს დასკვნა მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის თაობაზე. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის

იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკურ აგენტთა კონცენტრაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

7. თუ განსახორციელებელი კონცენტრაციის შედეგად მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ შესაძლოა შეთავაზებულ იქნეს ოპერაციის ცვლილება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ზომის სახით. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოდიფიკაციის შედეგად, კონცენტრაცია დააკმაყოფილებს ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირობებს, შეიმუშავებს დასკვნას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, შესაძლოა თან ერთვოდეს ინფორმაცია ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ განსახორციელებელი სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ზომების თაობაზე, შესაბამისი ვადების მითითებით.

9. თუ კონცენტრაცია უკვე განხორციელდა და ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ შესაბამის ვადაში არ არის შესრულებული ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ზომები, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს საურავი ამ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად. სააგენტო, საურავის დაკისრების პარალელურად, მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით და ითხოვოს კონცენტრაციის გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.“.

13. მე-11[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11[1]. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინება

„1. სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე ეკონომიკური აგენტის/აგენტების როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივი წლიური ბრუნვა (კონცენტრაციის წინა ფინანსური წლის მონაცემებით) საქართველოს ტერიტორიაზე აღემატება „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესით“ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

2. „კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“ მტკიცდება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტით.

3. სააგენტოს მიერ კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5000 ლარს.

4. სააგენტო კონცენტრაციის შესახებ სრულყოფილი შეტყობინების შემოსვლიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს, დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა თუ არა კანონის რეგულირების სფეროში და აცნობებს შეტყობინების წარმომდგენ პირ(ებ)ს აღნიშნულის თაობაზე.

5. თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებას განხილვას იწყებს კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია, საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 25 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს შეტყობინება და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

ბ) კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია, შესაძლოა, არ იყოს თავსებადი

კონკურენტულ გარემოსთან ან საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა საკითხის დამატებითი შესწავლა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, სააგენტო ოფიციალურ ვებ-გვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე და დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინონ მოსაზრებები სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. გამოქვეყნებული ინფორმაცია, კონცენტრაციაში მონაწილე პირთა კონფიდენციალური მონაცემების დაცვით, უნდა შეიცავდეს მონაცემებს მხარეთა ვინაობის/დასახელების, კონცენტრაციის საგნის და იმ ეკონომიკური დარგების/ბაზრების თაობაზე, რასაც ეხება დაგეგმილი კონცენტრაცია.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო ვალდებულია განიხილოს შეტყობინება კონცენტრაციის შეტყობინების განხილვის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს 90 კალენდარული დღის ვადაში. დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად ჩაითვლება.

9. სააგენტოს უფლება აქვს, შეტყობინების წარმომადგენ პირ(ებ)ს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია და განუსაზღვროს მისი წარდგენის ვადა, რაც ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

10. ამ მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტებით დადგენილი ვადის ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ დასკვნის გაცემამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.

11. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.

12. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შეუტყობინებლობისთვის ჯარიმის დაკისრება ეკონომიკურ აგენტს არ ათავისუფლებს სააგენტოსათვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

13. სააგენტოს უარყოფითი დასკვნის მიუხედავად ეკონომიკური აგენტების მიერ კონცენტრაციის განხორციელების ან/და ამ მუხლის მე-10 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვის შედეგად, უარყოფითი დასკვნის გამოცემის შემთხვევაში, სააგენტო, ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვოს კონცენტრაციის გაუქმებას, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.“.

14. მე-11² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11². კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების ვალდებულებისაგან გათავისუფლება

1.კონცენტრაციის შემთხვევაში შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს არ დაეკისრებათ სააგენტოსთვის კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის ვალდებულება, თუ:

ა)კონცენტრაცია გადახდისუუნარობის შედეგია და ხორციელდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, აგრეთვე ლიკვიდაციის პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ პროცესში კონტროლს მოიპოვებს კონკურენტი საწარმო ან ის ჯგუფი, რომელსაც ვალაუვალი საწარმოს კონკურენტები მიეკუთვნებიან;

ბ) კონტროლი მოიპოვება დროებით, იმ პირობით, რომ არ გამოიყენება წილის ფლობით მინიჭებული უფლებები (მათ შორის, ხმის უფლება), გარდა ინფორმაციის მიღების, წილის/აქციების გაყიდვის და დივიდენდის მიღების უფლებისა;

გ) კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებული პირების მონაწილეებს ეხება;

2. თუ კონცენტრაციის მონაწილე ყველა მხარე წარმოადგენს ერთი და იმავე ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკურ აგენტს, კონცენტრაციის შესახებ შეტყობინება უნდა წარედგინოს შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის ერთი მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენციაში შემავალი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროები განიხილება ეკონომიკის ერთ რეგულირებად სფეროდ.“

15. 11³ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის მიზნებისათვის არაკეთილსინდისიერ კონკურენციად ითვლება ეკონომიკური აგენტის ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს, მათ შორის:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის საშუალებით), რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და ამით გარკვეული ეკონომიკური ქმედებისაკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რომ მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ ან მომხმარებლის ინტერესების უგულებელყოფით იმოქმედოს;

ზ) ბოიკოტისაკენ მოწოდება.“.

16. მე-12 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრძალულია სახელმწიფო დახმარება, რომელიც აფერხებს კონკურენციას ან ქმნის მისი შეფერხების საშიშროებას, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“.

17. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. სახელმწიფო დახმარების შეთანხმების წესი და პროცედურა

1. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წესის საფუძველზე სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო სააგენტოს წარუდგენს განცხადებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნის, სახელმწიფო დახმარების ფორმის, ოდენობისა და მიმღების თაობაზე.

3. სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანო ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებასთან ერთად სააგენტოს წარუდგენს შესაბამის დასაბუთებას, რომ გასაცემი სახელმწიფო დახმარება არსებითად არ ზღუდავს კონკურენციას.

4. სააგენტო მისთვის წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ამოწმებს გასაცემი სახელმწიფო დახმარების ამ კანონის დებულებებთან შესაბამისობას და არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა გასცემს დასკვნას. საქმის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს 3 თვემდე. დადგენილ ვადაში დასკვნის გაუცემლობა თანხმობად ჩაითვლება.

5. სააგენტოს უფლება აქვს, სახელმწიფო დახმარების გამცემს ან/და მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რაც ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას სააგენტო წარუდგენს სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს და საქართველოს მთავრობას.

7. საქართველოს მთავრობა, რომელსაც წარედგინა სააგენტოს უარყოფითი დასკვნა, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე.

18. მე-14 მუხლი ამოღებულ იქნეს:

19. დაემატოს შემდეგი შინაარსის 14[1] მუხლი:

„მუხლი 14[1]. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა

1. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობა, რომელიც არ საჭიროებს სააგენტოსთან შეთანხმებას, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობით გამცემი ორგანო ვალდებულია, ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ თებერვლამდე მიაწოდოს სააგენტოს ინფორმაცია, გაცემული სახელმწიფო დახმარების მოცულობის, ვადისა და მისი მიმღები ეკონომიკური აგენტის/აგენტების შესახებ.

3. სააგენტო უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის შეტანას უმნიშვნელო ოდენობის ინდივიდუალურ სახელმწიფო დახმარებათა რეესტრში.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რეესტრის წარმოების პროცესში სააგენტო დაადგენს, რომ გაცემული სახელმწიფო დახმარება აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ უმნიშვნელო ოდენობას, შეიმუშავებს დასკვნას, რომელიც გადაეგზავნება როგორც სახელმწიფო დახმარების გამცემს, ასევე მის ზემდგომ ორგანოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“.

20. მე-16 მუხლის:

ა) მე-3 - მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე.

4. სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

5. სააგენტოს გადაწყვეტილებების, ინსტრუქციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტებისათვის.“.

გ) მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს:

დ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. სააგენტო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა ამზადებს და საქართველოს პარლამენტს, პრემიერ-მინისტრსა და საზოგადოებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს წინა წელს გაწეული მუშაობის შესახებ.“.

21. 17^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17^1. სააგენტოს მართვა

1. სააგენტოს მართვის ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისგან.

2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საბჭოს წევრთა კანდიდატურებს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

3. საბჭოს წევრებს ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

4. საბჭოს წევრი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთიდაიგივე პირი საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

5. თუ საბჭოს წევრის თანამდებობა ვადაზე ადრე თავისუფლდება, საქართველოს პარლამენტი ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად ირჩევს საბჭოს ახალ წევრს, 5 წლის ვადით.

6. საბჭოს წევრის კანდიდატურა პარლამენტს უნდა წარედგინოს:

ა) საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე არაუადრეს მე-60 და არაუგვიანეს მე-40 კალენდარული დღისა;

ბ) საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში – მისი თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან არაუგვიანეს 30-ე კალენდარული დღისა;

7. საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არის საქართველოს მოქალაქე;

ბ) აქვს ეკონომიკის, სამართლის ან ბიზნესის ადმინისტრირების ხარისხი;

გ) აქვს მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება;

დ) აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა მოთხოვნებს.

8. პარლამენტის მიერ საბჭოს წევრთა არჩევიდან 1 თვის ვადაში, საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ხმათა უმრავლესობით, არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადით.

9. თუ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ვადაზე ადრე თავისუფლდება, საბჭო, ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, 1 თვის ვადაში, საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს ახალ თავმჯდომარეს, ამ პირის საბჭოს წევრობის უფლებამოსილების ვადით.

10.საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტა არ იწვევს ამ პირის, როგორც საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას, თუ ამავდროულად სახეზე არ არის ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევები.

11. პირი შეიძლება არჩეულ იქნეს საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. საბჭოს თავმჯდომარე, ამავდროულად, არის სააგენტოს თავმჯდომარე.

12. საბჭოს თავმჯდომარე საბჭოს წევრთაგან ნიშნავს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს.

13.საბჭოს წევრს წევრობის ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილება ავტომატურად ერთჯერადად უგრძელდება მანამ, სანამ იგივე ან სხვა პირი არჩეული არ იქნება საბჭოს წევრად ამ მუხლით დადგენილი წესით, მაგრამ არაუმეტეს 3 თვისა.

14. საბჭოს წევრობის ვადის გასვლის შემდეგ ამ მუხლის მე-13 პუნქტის მოქმედება საბჭოს წევრზე არ გავრცელდება, თუ დარჩენილი კომისიის წევრების რაოდენობა იქნება არანაკლებ 3-ისა.

15. საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) ამ მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის არსებობა;

ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ) სასამართლოს მიერ საბჭოს წევრის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;

დ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

ე) „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;

ვ) ზედიზედ ოთხი თვის განმავლობაში სამსახურებრივი მოვალეობის არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობა;

ზ) გადადგომა;

თ) გარდაცვალება.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ა“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საბჭოს წევრის გადაყენების თაობაზე გადაწყვეტილებას, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, იღებს საქართველოს პარლამენტი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში საბჭოს წევრს უფლებამოსილება უწყდება ავტომატურად, შესაბამისი იურიდიული ფაქტის დადგომისთანავე.

17. საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს:

ა) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან/და საჯარო მოსამსახურე;

ბ) იურიდიული პირის ხელმძღვანელი/მმართველი ორგანოს წევრი ან/და აქციების/ წილის მფლობელი;

გ) პოლიტიკური პარტიის წევრი.

18. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება დახურულ სხდომაზე, დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. სხდომის მონაწილე საბჭოს წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ხმა.

19. საბჭოს სხდომას, როგორც წესი, იწვევს საბჭოს თავმჯდომარე. სხდომის მოწვევა შეიძლება აგრეთვე საბჭოს ორი წევრის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

20. საბჭოს სხდომას უძღვება და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.

21. საბჭოს სხდომის წარმართვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები განისაზღვრება სააგენტოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

22. საბჭოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის გამოიყენება ამ კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი პროცედურული წესები.“.

22. მე-17[2] მუხლის:

ა) „ბ“და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლისა და კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, განახორციელოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგი.

გ) ამ კანონის 11[1] მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის შემთხვევაში კონკურენტული ეფექტის სავალდებულო შეფასება, დასკვნის მომზადება და გაცემა;“.

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მიღებული გადაწყვეტილებების და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;“.

23. მე-18 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის:

ა.ა) „ა“ - „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით;

ბ) ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მის საქმიანობასთან ან/და კონკრეტულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში;

გ) მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიუღებლობის შემთხვევაში, სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა ეკონომიკური აგენტის/მხარის/დაინტერესებული მხარის მიერ მისი წარმოდგენის თაობაზე;

დ) შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, მხარეს/დაინტერესებულს მხარეს მოსთხოვოს ახსნა-განმარტებისთვის გამოცხადება;

ე) სასამართლოს თანხმობის საფუძველზე, ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტი;

ვ) გამოთხოვილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მოუწოდებლობის შემთხვევაში, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს დააკისროს ჯარიმა ამ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად;“.

ა.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას სავარაუდო კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე, ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე;“.

ა.გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[2]“ ქვეპუნქტი:

„ზ[2]) წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები;“.

ა.დ) „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლისა და კონკურენტული გარემოს შეფასების მიზნით, განახორციელოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრების მონიტორინგი.

ლ) დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის არაერთგზის დარღვევისას, სასამართლოს წინაშე დასვას მისი იძულებითი დაყოფის საკითხი, თუ არსებობს საწარმოს ორგანიზაციული და ტერიტორიული განცალკევების შესაძლებლობა;“.

ა.ე) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ[1]“ და „ლ[2]“ ქვეპუნქტები:

„ლ[1]) დაეთანხმოს ან უარი თქვას კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების მიერ შემოთავაზებულ სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ზომებს;

ლ[2]) მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვოს კონცენტრაციის გაუქმება, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.“.

ა.ვ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) ეკონომიკური აგენტის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება მასზე დაკისრებული ჯარიმის არაუმეტეს ერთი წლის ვადით გადანაწილების თაობაზე.“.

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სააგენტო სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით უფლებამოსილია:

ა) ამ კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით;

ბ) მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიწოდება, რაც საჭიროა სააგენტოს მიერ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში დასვას მისი უფლებამოსილი პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი;

გ) ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში წარუდგინოს დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების ან განხორციელებული ქმედების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება ან ქმედების აკრძალვა, ხოლო მოთხოვნის

შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

დ) სახელმწიფო დახმარების გამცემის მიერ სახელმწიფო დახმარების შეთანხმების წესის დარღვევის შემთხვევაში, ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე დასვას შესაბამისი უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობის საკითხი;

ე) საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებისათვის, წარუდგინოს მას განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები შესაბამის ბაზარზე შესვლის საკანონმდებლო ან/და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობის და მათი აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე;

ვ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საგადასახადო ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს იდენტიფიცირებული ინფორმაცია ცალკეულ გადასახადის გადამხდელთა თაობაზე;

ზ) უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს შესაბამისი კონსულტაციის მიღება;

თ) მოსთხოვოს ახსნა-განმარტებისთვის გამოცხადება ამ კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით წარმოებული საქმის მოკვლევის ფარგლებში.“.

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტო უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს სარეკომენდაციო განმარტება და დაინტერესებულ პირებს გაუწიოს კონსულტაციები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით.“

24. დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-18[1] მუხლი:

„18[1]. სააგენტოს მართვის ორგანოს უფლებამოსილებები

1. საბჭო:

ა) მოქმედებს სააგენტოს სახელით და იღებს გადაწყვეტილებებს სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე, გარდა იმ საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტის უფლებამოსილებაც ამ კანონითა და სააგენტოს დებულებით მინიჭებული აქვს სააგენტოს თავმჯდომარეს;

ბ) ამტკიცებს ამ კანონის საფუძველზე სააგენტოს მიერ გამოსაცემ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) ამტკიცებს სააგენტოს დებულებას, სტრუქტურას და საშტატო ნუსხას;

ე) ამტკიცებს სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს;

2. სააგენტოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს სააგენტოს და წარმოადგენს მას სხვა ორგანოებთან და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ბ) ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეს;

გ) იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;

დ) საბჭოს წარუდგენს ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს დასამტკიცებლად;

ე) საბჭოს წარუდგენს სააგენტოს დებულების, საშტატო ნუსხისა და სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების პროექტებს დასამტკიცებლად;

ვ) შიდაორგანიზაციულ და საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, გამოსცემს ინდივიდულურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს;

ზ) ეკონომიკური აგენტებისგან, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ან სხვა ნებისმიერი ადმინისტრაციულ ორგანოსგან ითხოვს ინფორმაციას/დოკუმენტაციას, რომელიც საჭიროა უფლებამოსილების განხორციელების პროცესში;

თ) იწვევს პირებს საკონსულტაციო შეხვედრასა და ახსნა-განმარტებებზე;

ი) ახდენს მის კომპეტენციას მიკუთვნებული ცალკეული საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილების დელეგირებას სააგენტოს სხვა თანამშრომელზე;

კ) უფლებამოსილია შექმნას სათათბირო ორგანოები;

ლ) ასრულებს სააგენტოს დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

3. სააგენტოს თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე“.

25. მე-20 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად. ეკონომიკური აგენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს აღნიშნული დოკუმენტის არაკონფიდენციალური ვერსიის წარმოდგენა და განუსაზღვროს შესაბამისი ვადა.“

26. 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.სააგენტოს უფლებამოსილი პირი უნდა იყოს მხარეთაგან/დაინტერესებულ მხარეთაგან დამოუკიდებელი პროფესიულ საქმიანობაში, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.

2. თუ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები სააგენტოს უფლებამოსილ პირსა და იმ ეკონომიკურ აგენტს შორის, რომლის მიმართაც სააგენტო ახორციელებს საქმის მოკვლევას, სააგენტოს უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.“.

27. 22-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს. განმცხადებელი მხარედ არ განიხილება. სააგენტოში წარმოდგენილი განცხადება სავარაუდო კანონდარღვევის თაობაზე მიღებულ იქნება ცნობად და გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სააგენტოს მიერ საკუთარი ინიციატივით მოკვლევის დასაწყებად.“

28. 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. საჩივრის მიღების წესი და მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ დაცვის უფლების განხორციელება

1. სააგენტო საჩივრის მიღებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სწავლობს საჩივრის დასაშვებობის საკითხს.

2. სააგენტო ვალდებულია საჩივარი გადაუგზავნოს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს, გარდა კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე წარდგენილი საჩივრისა. მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია განსაზღვრულ ვადაში სააგენტოს წარუდგინოს მოსაზრებები საჩივრის თაობაზე.

3. თუ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი სააგენტოს წარუდგენს საჩივრის თაობაზე საკუთარ მოსაზრებებს, სააგენტო საქმის მოკვლევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მომჩივანის და მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

4. სააგენტო მომჩივანს და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს აცნობებს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების ან მის დაწყებაზე უარის თქმის თაობაზე.

5. სააგენტოს უფლება აქვს, მომჩივანს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულების წარდგენა და განუსაზღვროს მისი წარდგენის ვადა, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის შეჩერების საფუძველია.

6. საჩივრის ფორმას, მისი წარდგენის წესს და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ვადებს შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო.“.

29. 24-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები

სააგენტო უარს ამბობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე, თუ:

ა) საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს;

ბ) არ არსებობს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი;

გ) ამ კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ვადაში არ არის წარმოდგენილი გამოთხოვილი ინფორმაცია ან/და მტკიცებულება;

დ) მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიმართ დაწყებულია გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) არსებობს საქმის მოკვლევის შედეგად სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება;

ვ) არსებობს საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის, იმავე დავის საგანზე და სახეზე არ არის ახლად აღმოჩენილი გარემოება, გარდა ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით საჩივრის დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებისა;

ზ) სასამართლო წარმოებაშია დავა იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე ან არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ

სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

თ) საჩივრის დასაშვებობის შესწავლის ეტაპზე, სააგენტო თანხმობას განაცხადებს სავარაუდო კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე, ეკონომიკური აგენტის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულების მიღებაზე.“.

30. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 25. საქმის მოკვლევის წესი

1. სააგენტო მის მიერ საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 6 თვის ვადაში.

2. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სააგენტოს გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს 18 თვემდე.

3. სააგენტო მომჩივანს გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე ატყობინებს საქმის მოკვლევის გაგრძელების თაობაზე.

4. სააგენტოს უფლება აქვს, საქმის მოკვლევის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტისგან/მხარისგან/დაინტერესებული მხარისგან გამოითხოვოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

5. საქმის მოკვლევის პროცესში სააგენტო იბარებს მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მათგან ახსნა-განმარტების მისაღებად.

6. სააგენტოს უფლება აქვს, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ადგილზე შეამოწმოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტი.

7. სააგენტო უფლებამოსილია მოტივირებული შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების მიზნით, თუ:

ა) ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საშუალებით შეუძლებელია საქმის მოკვლევისათვის საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღება;

ბ) არსებობს საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის განადგურების ან/და დამალვის საშიშროება;

გ) მხარეები არ ასრულებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების მიწოდების ვალდებულებას;

დ) საჭიროა მატერიალური აქტივების ვიზუალური დათვალიერება.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემოწმება მოიცავს:

ა) ეკონომიკური აგენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტების გაცნობას, მათი კონფიდენციალურობის და შენახვის წესის მიუხედავად;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ამოღებას ან/და მათი ასლების გადაღებას;

გ) ადგილზე ახსნა-განმარტებების მიღებას;

დ) ეკონომიკური აგენტის იურიდიული და ფაქტობრივი საქმიანობის ადგილზე დაშვებას.

9. თუ საქმის მოკვლევის დაწყების შემდეგ მომჩივანმა უარი განაცხადა საჩივარზე, საქმის მოკვლევა წყდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება, რომ კონკურენცია მნიშვნელოვნად იზღუდება.

10. სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე იმართება შემაჯამებელი სხდომა რათა მხარე(ებ)ს მიეცეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.

11. შემაჯამებელ სხდომამდე, სააგენტო წერილობითი ფორმით უგზავნის მხარეებს სავარაუდო გადაწყვეტილების პროექტს და მტკიცებულებებს, რომელზე დაყრდნობითაც გაკეთებულია შეფასება. ამასთან, მხარეებს უნდა განემარტოთ მათი უფლება, წარმოადგინონ პოზიცია და შესაბამისი დამატებითი მტკიცებულებები.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მხარეთათვის პოზიციის წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. მხარეთა მიერ ამ ვადის ამოწურვის შემდგომ წარმოდგენილი ინფორმაცია შესაძლოა არ იქნეს გათვალისწინებული სააგენტოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების შემუშავების პროცესში.

13. მოპასუხე ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია სააგენტოს შესთავაზოს პირობითი ვალდებულებები სავარაუდო კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე.

14. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის დარღვევის სავარაუდო რისკი და დაეთანხმება მის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებას სავარაუდო კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი კონკრეტული ქმედებების განხორციელების თაობაზე, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კანონდარღვევის სავარაუდო ფაქტის შეფასების გარეშე და მოპასუხე ეკონომიკური აგენტს განუსაზღვრავს ვადას აღებული ვალდებულების შესასრულებლად.

15. თუ მოპასუხე ეკონომიკური აგენტი სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებს ამ მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით მის მიერ აღებულ პირობით ვალდებულებას, პირს დაეკისრება საურავი ამ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად და საქმის მოკვლევა განახლდება.“.

31. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. დავის ხანდაზმულობის ვადა

1. ამ კანონის დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის ხანდაზმულობის ვადაა ქმედების დასრულებიდან 3 წელი.

2. საქმის მოკვლევის დაწყება ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძველია.“.

32. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 31. თანამშრომლობის ფორმები. ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოების მიერ ამ კანონის დებულებათა გამოყენება

1. ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივარი/განცხადება ან კონცენტრაციის შესახებ შეტყობინება წარედგინება ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს ან სააგენტოს. თუ სააგენტოს წარედგინა საჩივარი/განცხადება ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის

შესაძლო დარღვევის თაობაზე, ან შეტყობინება კონცენტრაციის შესახებ, იგი ამ საჩივარს/განცხადებას/შეტყობინებას 5 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნის ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. სააგენტო საკითხს შეისწავლის, თუ სახეზეა ერთ-ერთი პირობა მაინც:

ა) სავარაუდო კანონდამრღვევი ან კონცენტრაციის მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ წარმოადგენს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკურ აგენტს;

ბ) სავარაუდო კანონდამრღვევი ან კონცენტრაციის მონაწილე მხარეები წარმოადგენენ ეკონომიკის რეგულირებადი სხვადასხვა სფეროს ეკონომიკურ აგენტებს;

გ) ქმედების განმახორციელებელი სუბიექტ(ებ)ი წარმოადგენს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს ეკონომიკურ აგენტს, მაგრამ, სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედება (დავის საგანი) არ არის განხორციელებული ეკონომიკის რეგულირებად სფეროში.

3. თუ ცალსახად არ დგინდება საკითხის შესწავლაზე უფლებამოსილი ორგანო, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადა იზრდება 30 კალენდარულ დღემდე, რათა უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის მიზნით შედგეს ერთობლივი კონსულტაციები სააგენტოსა და ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს შესაბამის მარეგულირებელ ორგანოს შორის.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ვერ დადგინდა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო, საკითხს შეისწავლის სააგენტო.

5. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტს ან ამ სფეროში კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებას განიხილავს სააგენტო, იგი მიმართავს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელ ორგანოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების ან/და პოზიციის წარმოდგენის მოთხოვნით.

6. თუ ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის ფაქტს ან ამ სფეროში კონცენტრაციის შესახებ შეტყობინებას განიხილავს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანო, იგი მიმართავს სააგენტოს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების ან/და პოზიციის წარმოდგენის მოთხოვნით.

7. ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლისათვის, ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოები ხელმძღვანელობენ ამ კანონის მე-3, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-11 მუხლებით, მე-11^1 მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-6 - მე-13 პუნქტებით, მე-11^2, 27-ე, 32-ე, 33-ე და 33^1-ე მუხლებით. ხოლო, ამ კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი, მე-5 მუხლი, მე-18, 22-ე, 23-ე, 24-ე და 25-ე მუხლები ვრცელდება შესაბამისი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი თავისებურებების გათვალისწინებით.

8. ამ კანონის საფუძველზე გამოცემული სააგენტოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დარეგულირებული საკითხები ეკონომიკის რეგულირებად სფეროში წესრიგდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

9. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, ერთი მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენციაში შემავალი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროები განიხილება ეკონომიკის ერთ რეგულირებად სფეროდ.

33. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32. სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება

1. ამ კანონის საფუძველზე სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დადგენილ ვადაში მიუწოდებლობა, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასი ლარის ოდენობით.

2. ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, პირს დაეკისრება ჯარიმა ხუთი ათასი ლარის ოდენობით.

3. ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებისაგან.“.

34. 33-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33. ჯარიმა

1. ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია მხარეს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10 პროცენტს.

3. ამ კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს საურავი თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტს. ამ პუნქტით დადგენილი სანქცია ფიზიკური პირის ან სხვა ისეთი პირის შემთხვევაში, რომელიც, ამ კანონის მიზნებისათვის არ არის მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად, არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4. ამ კანონის მე-11^1 მუხლის პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.

5. ამ კანონის 11^3 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 1 პროცენტს. ხოლო, დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან განმეორების შემთხვევაში - 3 პროცენტს.

6. ამ კანონის 25-ე მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს დააკისროს საურავი, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5 პროცენტს.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის ან საურავის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე.

8. ამ მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტოს მიერ საკითხის შესწავლა ხორციელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით - ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად სააგენტოსათვის მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენების გზით.

9. პირი ვალდებულია ამ მუხლის შესაბამისად დაკისრებული სანქცია გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტში, მისი დაკისრებიდან ერთი თვის ვადაში.

10. სანქციის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იგი მიექცევა აღსასრულებლად.

35. 33[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33[1]. თანამშრომლობის პროგრამა

1. პირი სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდება ამ კანონის დარღვევისათვის დასაკისრებული ჯარიმისაგან, თუ იგი ერთდროულად დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) წერილობითი ფორმით აღიარებს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მონაწილეობას;

ბ) სააგენტოს ზეპირად ან/და წერილობით მიაწვდის მისთვის ცნობილ, მნიშვნელოვან ინფორმაციას და მტკიცებულებას, კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების შესახებ, მანამ, სანამ ეს ინფორმაცია სააგენტოსთვის სხვა წყაროდან გახდება ცნობილი;

გ) საქმის მოკვლევის პროცესში უწყვეტად და შეუზღუდავად ითანამშრომლებს სააგენტოსთან;

დ) შეწყვეტს კანონსაწინააღმდეგო შეთანხმებაში მონაწილეობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელება ხელს შეუწყობს საქმის მოკვლევას;

ე) არ გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს;

ვ) არ გაამჟღავნებს ინფორმაციას თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება შეთანხმების ერთადერთ ორგანიზატორზე ან/და ინიციატორზე, აგრეთვე იმ პირზე, რომელმაც სხვა პირებს შეთანხმებაში მონაწილეობა აიძულა.

3. თანამშრომლობის პროგრამის გავრცელებისა და ამ კანონის მე-7 მუხლის დარღვევისათვის დაწესებული ჯარიმისაგან ეკონომიკური აგენტის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების გამოყენების წესი დგინდება სააგენტოს სამართლებრივი აქტით.“.

36. 33[2] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 33[2]. სააგენტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი

1. პირს უფლება აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.

2. სასამართლოს აქვს სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გადასინჯვის უფლებამოსილება, მათ შორის, ჯარიმის/საურავის ოდენობის ნაწილში.“.

მუხლი 2. გარდამავალ პერიოდში ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის განხორციელების წესი

1. გარდამავალ პერიოდად ჩაითვალოს ამ კანონის ამოქმედებიდან 2020 წლის პირველ იანვრამდე პერიოდი;
2. გარდამავალ პერიოდში ამ კანონის პირველი მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული საბჭოს ფუნქციების განხორციელება დაეკისროს სააგენტოს თავმჯდომარეს.
3. ამ კანონის პირველი მუხლის 32-ე პუნქტის მიზნებისათვის, გარდამავალ პერიოდში, ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის დარღვევის შემთხვევათა შესწავლის ან კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების განხილვისათვის, ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოები ხელმძღვანელობენ ამ კანონით და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თუ ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 3. ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართლებრივი ურთიერთობის საგამონაკლისო წესი

1. ამ კანონის პირველი მუხლის 21-ე პუნქტით განსაზღვრული საბჭოს პირველადი ფორმირება განხორციელდეს განსხვავებული წესით. კერძოდ, საბჭოს ორი წევრი არჩეულ იქნეს ოთხი წლის ვადით, ხოლო საბჭოს სამი წევრი არჩეულ იქნეს ხუთი წლის ვადით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი თავად განსაზღვრავს, თუ რომელი კანდიდატი რა ვადით ასარჩევად უნდა იქნეს საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი.
3. საბჭოს წევრების მომდევნო არჩევნები, მათ შორის საბჭოს თავდაპირველი წევრების ხელახალი ვადით არჩევა განხორციელდეს 5 წლის ვადით.

მუხლი 4. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-21 და 24-ე პუნქტებისა ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-21 და 24-ე პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*